




ავტორები: გიორგი ნებულიძე, დავით კეშელავა

## მაკროეკონომიკური მიმოხილვა: ზრდისკენ სწრაფვა გლობალური გაურკვევლობისა და რეგიონალური დინამიკის პირობებში



### შეჯამება

კოვიდ-19-ის პანდემიისა და რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგად არსებული მძიმე სიტუაცია ნელი, არათანაბარი ტემპით უმჯობესდება. მიუხედავად იმისა, რომ წლის დასაწყისში შეინიშნებოდა ეკონომიკური სტაბილურობა, რაც ეკონომიკის აღდგენით და ინფლაციის შესამცირებლად გაღებული ძალისხმევით გამოიხატა, სიხარული ჯერ მაინც ნაადრევია – ეკონომიკური აქტივობა ჯერ კიდევ არ დაბრუნებია პანდემიამდე არსებულ მაჩვენებელს, განსაკუთრებით, განვითარებადი ბაზრისა და ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, განსხვავება რეგიონებში დაფიქსირებულ მაჩვენებლებს შორის კი იზრდება. ეკონომიკის აღდგენას ხელს უშლის სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, პანდემიითა და რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული მოვლენები, აგრეთვე, გაზრდილი გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია. რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას მსოფლიოში კიდევ უფრო აუარესებს ციკლური პრობლემებიც: ინფლაციის შემცირების მიზნით მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით გამოწვეული შედეგები, მაღალი ვალით განპირობებული უარი ფისკალურ დახმარებაზე და სტიქიური მოვლენები. 2023 და 2024 წლებში მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკური მაჩვენებლის შემცირება ჯერ 3.0%-მდე, შემდეგ კი – 2.9 %-მდე, 2022 წელს არსებული 3.5%-დან. აღსანიშნავია, რომ ეს პროგნოზი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება 2000-2019 წლებში დაფიქსირებულ ისტორიულ საშუალო წლიურ მაჩვენებელს (3.8%) ([საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ოქტომბერი 2023](#)).

რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, 2023 წელს ნელი, მაგრამ ზომიერი ზრდის მაჩვენებლებია მოსალოდნელი: [სომხეთში](#) – წლიური +7.0%, [აზერბაიჯანში](#) – წლიური +2.5% და



თურქეთში – წლიური +4.0%. მეორე მხრივ, მოსალოდნელია რუსეთის ეკონომიკის 2.2 %-ით ზრდა (აღნიშნული მაჩვენებელი დაკორექტირდა მანამდე არსებული 1.5%-დან). მოსალოდნელია განვითარებადი ბაზრების და ეკონომიკის (EMDE) ქვეყნებში გამოშვების მაჩვენებლის ზრდაც: 2023 და 2024 წლებში 4.0 %-ით (2024 წლის პროგნოზი დაკორექტირდა მანამდე არსებული 4.1%-დან) (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ოქტომბერი, 2023).

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის მაჩვენებლის უახლესი შეფასებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2023 წლის III კვარტალში 5.7%-ს შეადგენდა. გარდა ამისა, მოსალოდნელია საინვესტიციო დინამიკის გაუმჯობესებაც. შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის 2023 წლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი კვლავ 6%-ს შეადგენს (სებ, აგვისტო).

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ პროგნოზირებული მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი შეადგენს წლიურ 7.1%-ს (იხ. გრაფიკი 1) (ნოემბერი, 2023). აღნიშნული მაჩვენებელი ოქტომბრის პროგნოზში არსებული 8.5%-დან დაკორექტირდა (ოქტომბერი, 2023). თუმცა, **ამჟამად, აღნიშნული მაჩვენებლები შესაძლოა გადაჭარბებული იყოს**, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ქართულ მონაცემებში არ არსებობს რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების, მასზე დაწესებული სანქციების და ფართომასშტაბიანი მიგრაციის სხვა ანალოგი.

## ინფლაცია

საქსტატის ბოლო მონაცემების თანახმად, სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) წლიურმა ინფლაციამ 2023 წლის III კვარტალში 0.6% შეადგინა, რაც 2.4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია მიზნობრივ 3%-ზე. მნიშვნელოვნად შემცირდა ინფლაციაზე გარე ფაქტორების ზეგავლენა. ინფლაციის დონის დასტაბილურება იმპორტირებული პროდუქტების ფასების შემცირებამ გამოიწვია (სექტემბერში იმპორტირებული პროდუქტები 4.1%-ით შემცირდა, შერეული პროდუქტები კი – 2.9%-ით). მიუხედავად იმისა, რომ შიდა ინფლაციის დონე შედარებით მაღალია (სექტემბერში არსებული 5.3%), იგი თანდათანობით მცირდება. შემცირება, უმეტესწილად, განპირობებულია გარკვეულ მომსახურებებსა და საკვებ პროდუქტებზე საბაზო ეფექტის შემცირებით.

გარედან შემოდინებული ფულადი ნაკადების ზრდამ ლარის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსის გამყარება გამოიწვია. გლობალურ ბაზარზე პირველადი საკვები პროდუქტების ფასების შემცირებამ, ლარის კურსის გამყარებასთან კომბინაციაში, საქართველოში იმპორტირებული საქონლის ფასების კლება გამოიწვია (სებ, ოქტომბერი, 2023). თუმცა, სასაქონლო ბაზრების მიმოხილვის თანახმად, ახლო აღმოსავლეთში ბოლოდროინდელმა კონფლიქტმა სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე, რომელიც მანამდეც რყევას განიცდიდა, მეტი გაურკვევლობა შეიტანა. კონფლიქტამდე კი ნავთობის მიწოდების მიზანმიმართულმა შემცირებამ ენერჯის ფასების 9%-ით ზრდა გამოიწვია, რამაც მსოფლიო ბანკის სამომხმარებლო ფასების ინდექსი 5%-ით გაზარდა, რაც 2015 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში 45%-იან ზრდას წარმოადგენს. ამჟამად კონფლიქტის გავლენა სამომხმარებლო საქონლის ფასებსა და ოქროზე მცირეა, დანარჩენი საქონლის ფასები კი სტაბილურია. თუმცა არსებობს ესკალაციის მნიშვნელოვანი საფრთხე, რამაც შესაძლოა საქონლის ფასების ზრდა გამოიწვიოს და საფრთხე შეუქმნას გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებას. ანგარიშში ნაგარაუდებია, რომ, თუ კონფლიქტი არ გაღრმავდება, მისი გავლენა საქონლის ფასებზე, სავარაუდოდ, მცირე იქნება და მომდევნო ორი



წლის განმავლობაში შემცირდება. ანალიზში გათვალისწინებულია საფრთხის სამი სცენარიც, რომლებიც ეყრდნობა ნავთობის გლობალური მიწოდების შეფერხების ისტორიულ პრეცედენტებს. ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვები, სტიქიური მოვლენები და მოსალოდნელზე მცირე ეკონომიკური ზრდა რისკის ქვეშ აყენებს სამომხმარებლო პროდუქტების ფასების შემცირების პროცესს (სსფ, ოქტომბერი, 2023).

**საგარეო საქმეები: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები**

**2023 წლის III კვარტალში საგარეო მოთხოვნის მაჩვენებელი კვლავ მაღალი იყო, თუმცა შემდგომში ზრდის ტემპი შენედა.**

2023 წლის III კვარტალში ადგილობრივი საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი წლიური 24.5%-ით შემცირდა. მეორე მხრივ, ადგილობრივი საქონლის ექსპორტის კლების საპირისპიროდ, მეზობელი ქვეყნების მხრიდან გაიზარდა მოთხოვნა ავტომობილებზე, რამაც საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის მთლიანი მაჩვენებლის მცირედით ზრდა გამოიწვია. ამავდროულად, გაცვლითი კურსის გამყარების და გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის გამო, საქონლის იმპორტის მაჩვენებელი ზრდას განაგრძობდა, თუმცა შემცირებული ტემპით. გაცვლითი კურსის გამყარებამ უარყოფითი გავლენა იქონია კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელზე – შედეგად, მოსალოდნელია სავაჭრო დეფიციტის ზრდა. გარდა ამისა, ფულადი გზავნილების შემცირების შედეგად, მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა ([სებ, ოქტომბერი, 2023](#)).

გაზრდილი საგარეო მოთხოვნის მიუხედავად, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის მაჩვენებლის ზრდის ტემპი 2023 წლის III კვარტალში შემცირდა და მხოლოდ წლიური 1.6%-ით გაიზარდა. ზრდის ტემპის ამგვარი შემცირება, უმეტესწილად, ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტის შემცირებამ განაპირობა. განსაკუთრებით შემცირდა ფეროშენადნობებისა და სპილენძის მადნების გაყიდვების მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტირებული საქონლის რიცხვი ზომიერად გაიზარდა, ექსპორტის რეალური მაჩვენებელი შემცირდა ([საქსტატი](#)).

რამდენადაც სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნა გაცილებით მაღალი იყო, ამ ტიპის საქონლის ექსპორტის ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთლიანი ექსპორტის ზრდის მაჩვენებელზე. მიუხედავად ამისა, საინვესტიციო საქონლის ექსპორტის მაჩვენებელმა მცირე უარყოფითი წვლილი შეიტანა მთლიანი ექსპორტის ზრდის მაჩვენებელში. სამომხმარებლო პროდუქტების ექსპორტის ზრდა, დიდწილად, განაპირობა ავტომობილების რეექსპორტმა, რომლებიც არამხოლოდ რეგიონის, არამედ ცენტრალური აზიის ქვეყნებშიც იყიდება. საქონლის ექსპორტის ზრდის მაჩვენებელზე გავლენა იქონია მედიკამენტების, შერეული საქონლისა და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტმაც ([საქსტატი](#)).

მიუხედავად ამისა, შემცირდა შუალედური საქონლის ექსპორტი, რაც, უმეტესწილად, განპირობებული იყო აშშ-სა და რუსეთში ფეროშენადნობების ექსპორტის, ჩინეთში – სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტის, პერუში – მინერალური სასუქების, ხოლო უკრაინაში – ავტომობილების ექსპორტის შემცირებით. საინვესტიციო საქონლის ექსპორტის შემცირება განაპირობა საფრენი აპარატებისა და ცოცხალი მსხვილფეხა საქონლის ექსპორტის შემცირებამ ([სებ, ოქტომბერი, 2023](#)).



2023 წლის III კვარტალში იმპორტის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა (წლიური 16.0%-ით), უმეტესწილად, განპირობებული იყო სამომხმარებლო პროდუქტების იმპორტის ზრდით, რამაც მნიშვნელოვანი წილი შეიტანა იმპორტის ზრდის მთლიან მაჩვენებელში ([სებ. ოქტომბერი, 2023](#)). სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდა, მეტწილად, ავტომობილების (რეექსპორტის მიზნით), მედიკამენტების და სატელეფონო აპარატების იმპორტის ზრდით იყო განპირობებული. შუალედური საქონლის იმპორტის შემცირება, უმეტესწილად, სპილენძის მადნების, ხორბლის ფქვილისა და ნავთობის შემცირებულმა შესყიდვებმა განაპირობა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად გაიზარდა რკინისა და მანგანუმის კონცენტრატების იმპორტი. საინვესტიციო საქონლის იმპორტის ზრდა გამოიწვია გაზრდილმა შესყიდვებმა, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო მოთხოვნის ზრდით ტრაქტორებზე, საქონლის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებსა და სამშენებლო ავტომობილებზე ([საქსტატი](#)).

ზაფხულის სეზონზე საქართველოში საგრძნობლად მოიმატა საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ. 2023 წლის III კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების ზრდის მაჩვენებელმა წლიურ 21.0%-ს მიაღწია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებლები კვლავ 16.5%-ით ჩამორჩება 2019 წლის იმავე პერიოდში არსებულ მაჩვენებლებს. შემცირდა მოქალაქეთა ნაკადი რუსეთიდან, ბელარუსიდან, თუმცა გაიზარდა შემოსული ვიზიტორების რიცხვი ევროკავშირის ქვეყნებიდან, თურქეთიდან და ყაზახეთიდან ([სტეა, 2023](#)).

2023 წლის III კვარტალში საქართველოში შემოსული სწრაფი ფულადი გზავნილების რაოდენობა 15.1%-ით შემცირდა და 872 მლნ აშშ დოლარი შეადგინა ([სებ](#)). შემცირება, უმეტესწილად, განპირობებულია საბაზო ეფექტით და რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების რაოდენობის ეტაპობრივი შემცირებით. 2022 წელს უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გამოიწვია კაპიტალის და მიგრანტების შემოდინების ზრდამ. როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული ფულადი გზავნილების რიცხვი ეტაპობრივად შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების რიცხვი შემცირდა, რამაც მთლიანი მაჩვენებლის შემცირება გამოიწვია, სხვა ქვეყნებიდან შემოსული ფულადი გზავნილების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ზრდის მთლიან მაჩვენებელში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროკავშირის ქვეყნებიდან (6.5 პროცენტული პუნქტი), აშშ-დან (3.4 პროცენტული პუნქტი) და ყაზახეთიდან (2.1 პროცენტული პუნქტი) შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა ([სებ. ოქტომბერი, 2023](#)).

2023 წლის III კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 30%-ით გაიზარდა და 506 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი მიმართული იყო ხელახალი ინვესტიციების გაზრდისკენ ფინანსურ და ენერგო სექტორებში. მიუხედავად ამისა, შემცირდა უძრავ ქონებასა და სამშენებლო სექტორში განხორციელებული ინვესტიციები ([საქსტატი](#)).

**საბარო ფინანსები**

საერთო ბიუჯეტის მთლიანი შემოსავალი წლიური 24.2%-ით გაიზარდა და 5.4 მლრდ ლარი შეადგინა, რაც, უმეტესწილად, გადასახადებით მიღებული გაზრდილი შემოსავლებით (წლიური + 21.7 %) არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ამ ზრდას, უპირველეს ყოვლისა, ხელი შეუწყო



საერთაშორისო ვაჭრობასა და ტრანზაქციებზე (წლიური +22%), შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალზე (წლიური + 17.2%) დაწესებული გადასახადებით მიღებული შემოსავლის ზრდამ ([საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023](#)).

საანგარიშო კვარტლის პერიოდში 17.2%-ით გაიზარდა მიმდინარე სამთავრობო ხარჯებიც, რამაც 4.7 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ხარჯებიდან 70.1%-ით გაიზარდა დანახარჯები პროცენტებზე. გაიზარდა შემდეგ კატეგორიებში შემავალი დანახარჯებიც: სუბსიდიები (წლიური +24.1 %), სოციალური დახმარება (წლიური +23.3 %) და თანამშრომლების ანაზღაურება (წლიური +20.3 %). ამავდროულად, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი III კვარტალში 24.9%-ით გაიზარდა და 1,557.8 მლნ ლარი შეადგინა. 2023 წლის III კვარტალში დაფიქსირდა ბიუჯეტის დეფიციტი და -834.5 მლნ ლარი შეადგინა. მთავრობის სავალო ვალდებულებები გასულ წელს არსებულ 29.0 მილიარდთან შედარებით 2.2%-ით გაიზარდა და 29.6 მილიარდი ლარი შეადგინა. გარდა ამისა, საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში 73.0%-ის ტოლია, რაც ქვეყნის გაცვლით კურსთან დაკავშირებულ რისკებზე მიუთითებს ([საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023](#)).